

# მწყემსი



მწყემსი კეთილმან სული  
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის  
იონ. 10—11.

№ 24

1883—1908 წ.

30 დეკემბერი

## შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალითერატურო განყოფილება:** ჩვენი გრძნობის აღსარება, რედ. დევ. დ. ლამბაშიძისა.—ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, მღვ. ი. ლუკიანოვისა.—შობა ქრისტე მაცხოვრისა „ლექსი“ ი. ბალუევისა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეთვლიყვანობა ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:**—სიტყვა, მღვ. კ. ცინცაძისა.—წმიდა მოციქული პავლე, ა. პ.—განცხადება.

### ჩვენი გრძნობის აღსარება.


ნეტარ ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოსი ხშირად მოჰყვებოდა ხოლმე თავის თავ-გადასავალს და სხვათა შორის იტყოდა: „როდესაც პირველად მოვედი ეპარქიაში, გავიცანი სამწყსო და მწყემსნი, აღტაცებაში მოვდიოდი მათი ქეშმარიტი სარწმუნოების და კეთილ ზნეობის შემხედვარე; ზოგიერთები სწორედ პირველი დროის ქრისტიანებს ჰგვანდნენ აღტაცებული თავს არ ვიზოგავდი, რომ ხშირი ქადაგებით, დარიგებით და სწავლებით კიდევ უმეტესად განმტკიცებულ-იყვნენ სარწმუნოებით და კეთილ ზნეობით. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, გაუმჯობესების მაგიერ სულ სხვა სამწუხარო მოვლენას ვამჩნევ ეხლა სამწყსოთა შორის. რისი ბრალია და რატომ ხდება ასე?“ იკითხავდა ხოლმე ხშირად. თუ პასუხს არაფერს ვასცემდა, მერე იტყოდა: „ეს ალბად ჩემი ბრალია, ჩემი ცოდვის ბრალია, არა აქვს ჩემს სიტყვას გავლენა, როგორც ცოდვილი კაცისას...“

სწორედ უნებლიედ მომაგონდა ეს სიტყვები, როცა ოცდა ხუთი წელიწადი შესრულდა ჩვენი „მწყემსი“-ს არსებობისა. დიახ, უნებლიედ მოგვაგონდა სულმნათი ეპისკოპოსის ზემო-თქმული სიტყვები. რა აღტაცებით, რა სიხარულით მიეგება ჩვენ გამოცემას სამღვდლოება და მრავალი საერო წოდება? დიდად სასიამოვნო საკითხავი იყო ზო-

გიერთი პირების თანაგრძნობის წერილები. როგორ შეიძლებოდა ვისმეს შეერჩინა ჟურნალის გამოსაწერი ფული. გარდაცვლილ ხელის მომწერლის ფულს არასოდეს მისი მემკვიდრე არ შეირჩენდა. ერთმა მღვდელმა მთხოვა, რომ სანამ გაზეთი იარსებებს ყოველთვის მიგზავნეთ და ფულს არ შევიწევო. ათი წელიწადი მიდიოდა ჟურნალი და ყოველთვის გზავნიდა ფულს. ბოლოს სამი წლის განმავლობაში ფული აღარ მიმიღია და ჟურნალის გზავნაც შევწყვეტე. გარდაცვალებული მღვდლის შვილის მედავითნისაგან მივიღე მთლად ფული, რომელიც მთხოვდა, რომ მეგზავნა გაზეთი, რადგან იგი ისე შეეწვია მის კითხვას რომ ვერ მოიშლის, რაც უნდა ღარიბად იყოს...

ოცდა ხუთი წლის შემდეგ რას ვხედავთ? სადღაა ის ნამუსი, სადღაა ის სინიდისი, რომელიც ამ ოცდა ხუთი წლის წინად იყო! არაფერს ვიტყვით უბრალო მედავითნეებზე და ერისკაცებზე. ავიღოთ საპატო პირები, ესვრედ წოდებული „ბლადოჩინები“ ეს საპატო პირები, რომელნიც ნიდავ თვალყურს უნდა ადევნებდნენ, რომ არაფერს წესრიგი არ დაარღვიოს და ზნეობით ცული რამე არ ჩაიდინოს დიდი ხნის წინ, ხალხის მოძრაობამდე, ეს „მამები“ შეიქმნენ პირველი ექსპროპრიატორები. მოჰკრიბეს სამღვდლოებაში „მწყემსი“-ს გამოსაწერად ფულები და მათი ჯიბიდან ვეღარ ამოიგო კაცმა.

ქ. მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბ. ბიბლიოთეკა



თუ რამდენად შეიცვალა ზოგიერთების ზნეობა, მავიყვანთ კიდევ ერთ ფაქტს. ერთმა მღვდელმა გორის მაზრიდან გამოიწერა „მწყემსი“, ფულის გამოგზავნას დაგვავიროდა „თავის“ დროზე. გაიარა ერთმა და ორმა წელიწადმა, მაგრამ ითხოვდა მოთმენას. ჩვენც სამი წელიწადი მოვიცადეთ. შემდეგ სხვისი ხელით მოიწერა, რომ მღ. ნ. ს—ძე გარდაიცვალა და კრებულის სახელზე გამოგზავნეთ ჟურნალი. ეს მღვდელი ჩემი ნაცნობი იყო და მეწყინა. ვიკითხე გორში გარდაცვალებული მღვდელი და აღმოჩნდა რომ ის თავის ეკლესიაზე მსახურებს და სრულებით არ მომკვდარა... სიკვდილი მოიგონა, რომ 9 მ. არ გადაეხადა!..

პირველად „მწყემსი“-ს ხელმოსაწერი ფული 5 მანეთი იყო. როცა 1000-მდე ავიდა ხელის მომწერი ორი მანეთი დავაკელით, რომ ყველასათვის მიგვეცა საშუალება გაზეთის გამოწერისა. ორი სამი წელიწადი ზოგიერთი ბლაღოჩინები ისევ ხუთ-ხუთ მანეთს ახდევინებდნენ თურმე. ბოლოს გვთხოვდნენ ღარიბთათვის ორ მანეთად და თვითონ კი თურმე სამ მანეთს იღებდნენ. ბოლოს ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა მთლად წაიღეს და დღესაც აღარ იძლევიან. ვიწვევ მათ სამედიატორო სამართალში, მაგრამ ხმას არ იღებენ. ზოგიერთ ამისთანა ბლაღოჩინების უზნეო საქციელით და ზოგიერთ ხელის მომწერლების მოტყუებით სამიათას მანეთამდე აქვს დაკარგული „მწყემსი“-ს რედაქციას...

ეს ფულები, რომ გაზეთის მკითხველებს ჰქონდესთ შერჩენილი იმდენად არ ვინაღვლიდით, მაგრამ ის გვაწუხებს, რომ ფულებია დაკარგული მგლეჯელობითი სახით და ისიც, სამწუხაროდ, სამღვდელოების პირთა წყალობით.

რას უნდა მივაწეროთ ესეთი ცვლილება ჩვენი სამღვდელოების მიმართულების და შეხედულებისა? ჩვენ არ ვეთანხმებით სულ-მნათს მღვდელთ-მთავარს გაბრიელს, რომ ჩვენში უკუღმართი ცხოვერების მიმდინარეობა ჩვენი ცოდვების ბრალი იყოს. პირველი მიზეზი ჩვენი უკან-სვლისა არის უპატრონობა, ჩვენი ობლობა. ობოლს უთუოდ ობეკუნი და მზრუნველი უნდა ჰყავდეს. მაგრამ ვი ობლების ბრალი ზოგიერთ ობეკუნების და მზრუნველების ხელში!..

როცა შეიღებს დედამა მოუკვდება ვილა უპატრონებს მათ? შეუძლია ვინმემ დედის ანუ მამის მაგიერობა გაუწიოს ობლებს? ყოვლად

შეუძლებელია და სწორეთ ყველა ჩვენი უბედურობის ბრალია ესეთი უნუგემო ჩვენი მდგომარეობა... მაგრამ რა მდგომარეობაშია უნდა ვიყუეთ, ღვთის წინაშე თავს ვერ გავიპართლებთ, თუ ჩვენს მოვალეობას არ ავასრულებთ...

არა მიმხედველი სხვა და სხვა სამწუხარო მოვლენათა. ჩვენ ყოველივე ღონეს ვხმარობდით და ვხმარობთ. რომ გაზეთის არსებობა არ შეგვეჩერებია, ჩვენ გაზეთის გამოცემით გამდიდრებას კი არ ვფიქრობდით, ისე როგორც ზეგიერთი ორგანოების გამომცემელი თავის ცხოვრების გაუმჯობესობას და ვალების გადახდას ჰფიქრობენ გაზეთის შემოსავლით. წარსულ წელში ჩვენი ჟურნალის ხელის-მომწერთ გაზეთის წლიურ ფასზედ ბევრად მეტი საღირალი სხვა და სხვა რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები დაურჩეთ და ამ წელშიაც კარგა ფასის წიგნები მიეცემათ. ჩვენ იმედი გვქონდა და გვაქვს, რომ ამ წიგნებს და წიგნაკებს ისინი წაუკითხავდნენ სამწყსოთა და განუმარტებდნენ მათ. მართალია, ზოგიერთი ჩვენი თანამოძმენი არ ასრულებენ ჩვენს იმედს, მაგრამ ათსა და ოცში ერთი და ორი რომ უღირსი აღმოჩნდეს არაფერია. ოთხ დათესილ მარცვალში თუ მარტო ერთმა გამოიღო ნაყოფი, ისეც კმარა...

ჩვენი ვალია ვთესოთ კეთილი თესლი ქრისტეს ყანაში. თუ ჩვენს დროში არ აღმოცენდება, უთუოდ შემდეგ მაინც აღმოცენდება და ნაყოფს მოიტანს.

გაჩუმება ამისთანა ღროს სამღვდელოებისა მიუტყევებელი საქმეა. სამღვდელოება დროით და უღროვოდ ყოველ ჟამს უნდა ქადაგებდეს, სამწყსოს აძოვებდეს, ასწავლიდეს და მოძღვრიდეს.

იქნება ვინმემ სთქვას, რომ ჩვენი ორგანო, „მწყემსი“ არ იძლევა სულიერ საზრდოს და არ აწვდის სამღვდელოებას ისეთ მასალას, რომ სასარგებლო იყოს სამწყსოთათვის? ამას იტყვის მხოლოდ ის, რომელსაც სრულებით არ წაუკითხავს „მწყემსი“ და მისგან დარიგებული საპრემიო წიგნაკები.

ღიდი ხანია ველოდით, რომ ჩვენი სამღვდელოება ან დასავლეთის საქართველოისა ან აღმოსავლეთისა შეერთდებოდა და სასულიერო ორგანოს დააარსებდა და ჩვენ-კი დავისვენებდით. მაგ-

რამ, სამწუხაროდ, არც აღმოსავლეთიდან და არც დასავლეთიდან სანუგეშო არა ისმის-რა. ღვთისაგან კურთხეულ ქვათათის ქლაქსა შინა გამოიცა აგერ-წინ ერთი ორგანო და ღღესეც გამოდის „შინაური საქმეები“-ს სახელ-წოდებით ყველას ეგონა, რომ ეს ორგანო მღვდლის რედაქტორობით, მღვდლების და ბერების თანამშრომლობით სასულიერო ორგანო იყო, მაგრამ რედაქტორმა ამ დღეებში ოფიციალურად დამოაცხადა რომ „შინაური საქმეები“-ს გახეთი სრულებით სასულიერო ორგანო არ არისო“..

და ამიტომაც არის თურმე, რომ „შინაური საქმეების“ თანამშრომლები ღობე-ყორებს ეფარებიან და თავის ვინაობას არ აცხადებენ. ეს დიდი ნაკლია ორგანოსი. ვის ემალებიან ან რას? ნუ თუ რცხვენიათ თავის ვინაობის გამხელა?..

უკანასკნელ ქართლ-კახეთის სამღვდლოების დეპუტატების კრებაზე ჰქონიათ მსჯელობა განსვენებული საქართველოს მთავრის მსგავსი ორგანოს დაარსების შესახებ, მაგრამ მიზანი ჟურნალის დაარსებისა გასაოცარი ყოფილა. ერთ სამღვდლო პირს, რომელსაც სახელი გატეხია მართებლობის წინაშე უთხოვია სამღვდლოებისთვის რედაქტორად მე მომიტხოვეთ ამ ახალი ჟურნალისათვისო და ამით შემეწყვეთ ხელი, რომ ჩემი სახელი აღვალდინო მთავრობის წინაშეო. ზოგიერთ დეპუტატებს, როგორც ჩასძახებ ისე ამოგძახებ, დათანხმებულან, უთქვამთ: „ძმა ძმისთვისაო ამ დღისთვისინაო“. იმას არ დაგიღვეს ვინ რა კაცია და რა მიმართულების? ჩვენი სოციალ დემოკრატები თავის კრებაზე, როცა ჟანდარმების უნტერ ოფიცრებს და ყაზახებს ხედავდენ ერთად ხალხთან მოყვირალებს „ძირს“-ო აღტაცებულნი იყვნენ. წასვლისას მათ სადილი გაუმართეს და მუსიკით გააცილეს 1095 წელში. 1906 წლის იანვარში მოვიდნენ და ცეცხლით გადასწვეს ხალხის ქონება და რომელსაც ხელი წაავლეს იმათ კი გადუხადეს პატივისცემა!.. შირი—ისაგან გამოგზავნილ ურის დეჰაკაცი, ვითომ რევოლიუციის მქადაგებელი, ვაშას ძახილით გამოაყრუეს და ხელით დაყავდათ!.. ბევრი კიდევ გაბედნიერდა მით რომ ფოტოგრაფიული მათი სურათი გადილო!?.

ჩვენ გვითხრეს, რომ ეს სახელ გატეხილი მამა ბრძანდება ის, რომელმანაც წინა კრე-

ბაზე პირდაპირ მოითხოვა, რომ იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდლოების შვილები-მოეშორებიათ თფილისის სემინარიიდან... რადგან ჩვენ მათთან საქმე არ გვაქვსო. დიად, კარგი სარედაქტორო კაცი ყოფილა თუ მართლა ესეთი კაცი აირჩიეს რედაქტორად!..

ამ უნუგეშო და უბედურ დროს, არა მიმხედველი ჩვენი მოხუცებისა, ღვთის შეწევნით, და მცირე ჯგუფის ჩვენ თანამომეტა თხოვნით და თანგრძნობით ვაცხადებთ ხელს მოწერას მომავალი წლისთვის:


**განადგომეთ ძამანო, ძმანო და სულიერნო შვილნო!**

გაგახსენებთ მოციქული პავლეს სიტყვებს. „ჰქადაგე სიტყვაჲ ზედა ადგე ჟამითი უჟამოდ, აზხილე, შერისხენ და ნუგეშინის-ეც ყოველითა სულ-გრძელებითა და მოძღვრებითა (2 ეპისტოლე ტიმოთესი თ. 4. მუხლი 2) ხუცესნი ფრთხილ იყვნედ, ღირს, წმინდა, ცაცხალ სარწმუნოებითა, სიყვარულითა მოთმინებითა, ყოვლისავე თვის თავსა შენსა სახედ მისცემდი კეთილ, თა საქმეთა მოძღვრებასა მას შინა, უნრწნელედა, ღირსება-განურყვნელობა.

სიტყვა ცაცხალი, უგმობელი, რათა წინააღმდეგმას ჰრცხვენოდეს, და რათა არა აქენდეს ჩვენდა მომართ სიტყვაი ბოროტისა. (ტიტ. მიმართ თ. 2 მუხ. 2—7 და 8)

ასე, მამანო, ძმანო და შვილნო! ვეცადოთ აღვასრულოთ დაკისრებული ვალი ღვთისა და კაცისაგან. საჭიროა მხოლოდ სურვილი, რაიცა შეეხება საშვალების უქონლობას, ეს სათქმელი არ არის. ორი თვის მყრალი და მავნებელი თუთუნის ფასი სრულებით საკმაოა მთელი წლის სულიერი საზრდოს მოსაპოვებლად...

განმეორებით გრხოვთ და გვევდრებათ ყველას ხელი შეგვიწყობთ. ხელის მომწერი ჟურნალს გარდა მიიღებს მშვენიერ საკითხავს რელიგიურ და ზნეობრივ შინაარსის წიგნებს ოცამდის უფასოდ. მათი წაკითხვა სამწყსოთათვის დიდი სასარგებლო იქნება და, მერწმუნეთ, თქვენ ამით შეასრულებთ თქვენ მოვალეობას და მოპოვებთ იმ რწმენას და სულიერ შვილთა ნდობას, რომლითაც სახელ განთქმული იყო წინეთ ჩვენი ძველი სამღვდლოება. ძველ დროში მთელს დიდ მარხვაში მაზიარებელთა უქადაგებდენ მარხვნიდან ყოველ სერობის შემდეგ. დღეს ნასწავლი, ჩვენი სამღვდლოება არც თავის დაწერილს და



აღარც მარხნიდან არას უქადაგებს და ამისთვისაცაა, რომ სამწყსოთა გული შესამინევად გაგრილდა. სცადეთ, წაუკითხეთ სამწყსოთა ცოცხალი ენით დაწერილი წიგნები სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ და მცირეს დროში დარწმუნდებით სასიამოვნო შედეგით...

განცხადება ეჟურნალზე ხელის მოწერისა ბოლო გვერდზე იხილეთ.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.



VIII


**ნება რეზინა წმინდანი გულითა.**

„ხარი ხართან დაბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, ამბობს ხალხური ანდაზა. შეჩერდით აბა რამდენიმე საათს კეთილ-სუნუნელოვან ყვავილებში, უნებლიეთ თქვენც მოგეცემათ მათი კეთილ-სუნუნელება. დაჰყოფთ რამოდენიმე ხანს აფთიაქში, კუპრისა ან სკიპიდარის საწყობში, სუნი მოგეცემათ წამლისა, კუპრისა ან სკიპიდარისა; თუ რომ დაუწყებთ ამოთხრილი ორმოების ქექვას, აგვათ სუნი სიღამბლისა ან ნაგავისა. ეგვევა ადამიანის ცხოვრებაშიაც. რა საქმესაც ემსახურებით, რითიც მეცადინებთ, რანაირ ადამიანებთან გაქვთ შეხება და მეგობრობა, — იმისდა მიხედვით მიიღებთ ამა თუ იმ ხასიათს. ადამიანის გული დაბადებიდანვე ჰგავს მოხნულს, მაგრამ არ დათესილ, მინდორს. იმაზე შემდეგში ამოვა ის, რასაც ადამიანი თითონვე დათესავს და რა მარცვლებიც ჩაიბნევა მასში გარედგან. იმ დაზგასთან, რომელზედაც იქსოვება ადამიანის ცხოვრება, ურომობს სამი მომუშავე: ღმერთი, კაცი და გარს შემოხვეული ხალხი. ღმერთი აძლევს საფუძველს თვით ნაქსოვს; ხოლო კაცი, გარეშემოხვეული ხალხის და გარემოების ზეგავლენით, ჰკერავს ქარგაზედ სახეებს. საზოგადო სურათი ცხოვრებისა თან და თანობით ირკვევა — ცხოვრების დასაწყისიდან მის დაბოლოებაამდის. ყოველივე შემთხვევით ლაპარაკი სხვასთან, უბრალო საჩქაროდ შეხვედრა ვისთანმე, წიგნის წაკითხვა, გაგონილი რამე ერთი სიტყვა — ყოველივე ფილიყო, არამედ იმაზედ, რომ გარედგან ლამაზი

ეს სტოვებს კვალს ჩვენ სულში, საერთო სურათზე ასვამს ხაზს, ამა თუ იმ ნიშანს. იმის და მიხედვით რა ფერის ხაზები იქნება მეტი გასმული, იმ ფერისა გამოჩნდება მთლათ სურათი. თუ მომეტებული ხაზები წითელი ფერისა იქნება, მაშინ სურათიც წითლათ გამოიყურება; თუ თეთრი ფერის ხაზები იქნება მეტი, მაშინ სურათი თეთრად გამოჩნდება; თუ შავი ხაზები იქნება მეტი, მაშინ სურათი შავათ, ბნელად გამოჩნდება.

თუ კაცმა ხელი მიჰყო მიწის მუშაობას, გულით მოეკიდა მეურნეობას, — მაშინ ის გახდება კარგი მიწის-მუშა, კარგი სახლ-კარის პატრონი. თუ კაცი გაჰყვა მებანის ცოდნას, სხვა და სხვა მანქანების გამოგონებას, — ის გააკეთებს ბევრს საკვირველ საქმეს, სასარგებლო გამოგონილებას. თუ კაცი მიჰყვება ვაჭრობა-მრეწველობას, მეცნიერულ გამოკვლევას ან ხელოვნებას, — იმას შეუძლიან გამოვიდეს მარჯვე მოსაქმედ, დიდ ნასწავლად საუცხოვო ხელოვანად. მაგრამ, წინათვე შეიძლება ვსთქვათ, რაც უნდა წარმატება ჰქონდეს კაცს თავის საქმეში, მაინც მთლად, ან დაახლოვებით სრული, შეგნება ჰქვამართებისა მას ძნელად თუ ექნება: მას სავსე აქვს სული სულ სხვა ფიქრებით და ზრუნვით. თუ მზე იყურება არა წმინდა შუშაში, არამედ ფერად და დახატულ შუშაში, — რაც უნდა ლამაზათ იყვეს გაკეთებული ასეთი ფანჯრები, შიგნით სრული სინათლე არ იქნება. ეგრეთვე კაცის შეგნებულ ცხოვრებაზედაც დიდი განსხვავებაა: იმაზე ფიქრობს კაცი, რომ რაც შეიძლება ბევრი სინათლე ჩაუშვას თავის სულში, თუ ჰფიქრობს ფანჯრების სილამაზეზე და ყველაზე წინათ ზრუნავს შუშების მოქარგვა-მოფერადებაზედ.

ბიბლია, წიგნი ღვთის სიტყვისა ცხოვრებაზე მიეცა ებრაელებს — ამ პატარა, ღარიბ სხვაზედ არაფრით მომეტებულს ხალხს. რატომ მოხდა ეს? რატომ არ ჰქონდა მიცემული ეს განცხადება ღვთის სიმართლისა ისეთ ხალხებს, რომელნიც შესანიშნავნი იყვნენ წარმატებით მეცნიერებაში, ხელოვნებაში, გონივრულ სჯულის-მდებლობაში? ამაზე პასუხის მიგება ძნელი არ არის. ყველა ხალხებზე უკეთესი ხალხი პირველად იმაზე-კი არ სცდილობდა; რომ მის შინაგან ცხოვრებაში სინათლე ყოფილიყო, არამედ იმაზედ, რომ გარედგან ლამაზი




ყოფილიყო. ძველი ღრობის საუკეთესო ხალხების, ებრაელების გარდა, სულიერი ძალა იყო მიდრეკილი უმთავრესად გარეგნულ ცხოვრებაზე. ისინი სწავლობდნენ ქვეყნიერებას, — და შეჰქმნეს შეცნიერება; ისინი აწარმოებდნენ გარეგნული ქვეყნიერების სილამაზეს, და შეჰქმნეს ხელოვნება; აწესრიგებდნენ ხალხის გარეგნულ ცხოვრებას, და შეჰქმნეს სჯულის-მდებლობა. გასაგებად ცხოვრების შინაგანი სიმართლისა, სიკეთის და სიყვარულის სიმართლისა, ღვთის სიმართლისა — მათ არ ჰქონდათ დრო და არც ნიჭი. ებრაელები-კი, გულს-მოდგინედ სცდილობდნენ შეესწავლათ ღვთის სიმართლის შინაგანი, და არა ქვეყნიერების მხოლოდ გარეგნული სიმშვენიერე. ისინი ამბობდნენ: “როგორც მწყურვალ ირემი ზაფხულის პაპანაქებაში მიისწრაფვის წყლისკენ, ეგრეთვე სული ჩემი — შენკენ, ღმერთო!” იმათი სული არ იყო დაქერილი სხვა რამეზე ზრუნვით, გული მათი იყო თავისუფალი, და ამისთვის ღვთიურ სიმართლის სინათლე თავისუფლად გასჭვრეტდა მათში. ამისთვის მაცხოვარი ამბობს: „ნეტარ იყვნენ ისინი, რომელნიც ცხოვრებაში პირველად სიმართლეს ეძებენ, როგორც მშვიერი კაცი პურს ეძებს; რომელნიც სხვებსაც უშვრებიან დიდ მოწყალებას, აძლევენ ამ სიმართლეს! ნათელ საქმეს აკეთებენ ისინი, ამისთვის იმათ სულშიაც ნათელი იქნება. თავის გულის სუფთა ფანჯრებში ისინი სავსებით დაინახავენ მათთვის შესაძლებელ ღვთიურ სიმართლეს, იცნობენ ღმერთს, რომელიც არის თვით სიყვარული, თვით სიწმინდე, თვით ქვეშარიტება. ნეტარ იყვნენ წმინდანი გულისათა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.“

ჩვენს ცხოვრებაში ღვთიური სიმართლე ნაკლებათაა; და ამის მიზეზი ის-კი არ არის, რომ ჩვენ სრულებით არ გვინდოდეს ამ სიმართლის ნახვა. არა, — ჩვენ ხან-და-ხან ძალიან-ც ვეძებთ მას. ჩვენ, უბრალოდ რომ ვსთქვათ, არ შეგვიძლიან მისი ნახვა. როდესაც კაცს ავადმყოფობისაგან ენაზე სქელი ლაქი გადაეკვრის, იმას აღარ შეუძლიან გააჩიოს საკმელისა და სასმელის გემოვნება. სურდოიანი ცხვირით არ შეიძლება სინამდვილით გაგება სუნისა. აგრეთვე უწმინდურის გულით ძნელია გაგება სიმართლისა. რამდენიმე წლის წინად, შორს ჩვენგან, შორეული ზღვის იქით, განმართაობულ კუნძულზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

გარდაიცვალა კეთროვანებისაგან კეთროვან ავადმყოფთა შორის მისსიონერი-მღვდელი დამიანე ვესტერი. იგი სრულიად ჯან-სალი კაცი თავის ნებით წავიდა იქ და თავი განწირულებით შესწირა სიცოცხლე სასარგებლოდ უბედურ ავადმყოფთა, რომელნიც თუმცა უცხოები იყვნენ მისთვის შთამომავლობით, მაგრამ მახლობელი და ძვირფასი იყვნენ ქრისტეს მიერ. მ. დამიანეს ღვაწლზე დიდის სიყვარულით და ქებით ამბობდა ლონდონში ვინმე პასტორი ჩემპენი. დამიანე სარწმუნოებით იყო ფრანგი, ხოლო ჩემპენი იყო პროტესტანტი. ამ მიზეზით, ლონდონის პროტესტანტთა საზოგადოების მდივანმა მაკლიურმა, მთელი საზოგადოების პირით მისცა სასტიკი შენიშვნა ჩემპენს. რათ აქებდა ის სხვა სარწმუნოების კაცს. პროტესტანტ ჩემპენს, უნდა ეჯავრებოდეს თვით დამიანეც-კი როგორც ფრანგი. უნდა ორმო გაუთხაროთ, და არა ამოუშოთ, — ასე სწერდა მაკლიური. მაკლიური, რასაკვირველია, არ ფარისევლობს. იმას სწამს, რომ მისი სიტყვები ქვეშარიტებაა, რომ იმას ნამდვილად სწორედ ესმის ღვთიური სიმართლე. მაგრამ იმაში ხომ ეჭვი არ არის, რომ მაკლიური თუმცა უყურებს ღვთიურ სიმართლეს, მაგრამ უყურებს არა წმინდა შუშით, არამედ ხარის ბუშტით. და ჩვენც ძალიან ხშირად, მაკლიურის მსგავსად, ვუტყვრით ღვთიურ სიმართლეს მობნელო ფანჯრის ტალახიან შუშაში. თუ ჩვენ გვინდა ვნახოთ წმინდა სიმართლე, უნდა ჯერ ჩვენ გულის ფანჯრები გავიწმინდოთ. მხოლოდ მარტო წმინდანი გულითა ღმერთს იხალავენ.

დიდრონ ქალაქებში, სადაც ხალხი შეგგუფილად და ვიწროდ სცხოვრობს, იშვიათად სჩანს მოწმენდილი ცა, ქუჩებსა და მოედნებს ზევით, როგორც მოშავო ნისლი, ისეა დამდგარი მტვერი, კომლი და ამონასუნთქი. იქ ხალხი არის უფერული, ავადმყოფი. ჯანის მოსალონელებლა ექიმები გზავნიან ასეთ ქალაქების მცხოვრებლებს სუფთა ჰაერზე. ზღვის ნაპირზე, მთის წვერებზე, მინდვრების ხალვათობაზე. სწორეთ ეგრევეა ჩვენს ცხოვრებაშიაც. ხალხის ბოროტება და უსამართლოება რომ მთლად ნისლად ავიდეს ქვეყნის ზემოდან, მაშინ რანაირი შავის, ბოროტ-მომასწავებლის ღრუბლით დაიფარება მთელი ცა, როგორ უცებ დაიმალება ჩვენი თვალებისაგან მზე სიმარ-



IX

ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფენი.

თლისა! საჭიროა დროებით მაინც გაშორდეს კაცი ხალხის გროვას; დაჰყოს ღმერთთან ერთად, ამოი-სუნთქოს სუფთა ჰაერით.

ჩვენ ვერ ვიცნობთ ჩვენ თავს, იშვიათად ჩავიხედებით ჩვენის გულის სიღრმეში, ცოტათი ვაქცევთ ყურადღებას, სუფთათ არიან ჩვენი სუ-ლის ფანჯრები? ამბობენ: „სხვისი სული ბნელიაო“; რომ დაფიქრდეთ, ჩვენი საკუთარი გულიც სხვე-ბისთვის ბნელი ტყეა. ჩვენ ცხოვრებაში მოუსვენ-რად ვტრიალებთ, ვპროწიანობთ, როგორც ნაფო-ტი მორევში. ამისთვის საკვირველი არ არის, რომ ჩვენ სულში არეულ-დარეულობაა. საჭიროა ცოტა ხანს მაინც გავჩერდეთ, დაფიქრდეთ, გავშინჯოთ ჩვენი შინაგანი მდგომარეობა. წყალი, რაც უნდა მღვრია და ტალახიანი იყვეს, თუ რომ გავაჩერებთ იმას ერთ ადგილს, უსათუოდ დაიწმინდება: მთელ ტალახსა და სიმღვრიეს ძირში დაილექამს, და დაწმენდილ წყალში ადვილად გამოკრთება მოწ-მენდილი ცაც და ბრწყინვალე მზეც. უფრო უმ-ჯობესი იქნება, რომ ეს წყალი ხელოვნურად დაიწმინდოს. დიდ წყლებზე არის გაშენებული ბევრი ქალაქები, სოფლები. ფაბრიკები, ქარხნები. ყველა ესენი აქუჭყიანებენ წყალს, ასე რომ, რაც მიდის წყალი, მომეტებულად იმღვრევა; წყალი სასმელად მანებელი ხდება. ამისთვის იმას ხე-ლოვნურად სწმენდავენ შაბით, ნახშირით. ხალხის ცხოვრებაც იგივე მდინარე წყალია, და ხალხი თან და თან მომეტებულად აუწმინდურებს მას. თუ გინდათ ნახოთ ცხოვრების მდინარე დაკამკა-მებული, უნდა დაიწმინდოს იგი. თქვენი აზრები და გრძნობები გასწმინდეთ სახარების თანახმად, ისწავლეთ ხალხის საქმეების დაფასება, როგორც მათ დააფასებდა თვით იესო ქრისტე, და თქვენც და თქვენი ცხოვრებაც ბევრად დაიწმინდება.

ტალახიანს შეუძლიან სუფთაც გააქუჭყიანოს; კაცს უნდა ჰქონდეს სუფთა ხელები, რომ სხვას ჭუჭყი მოაცილოს. ამისთვის, თუ თქვენ გინდათ ბრწყინვალე ბედნიერება სამშობლოსათვის, ოცნე-ბობთ იმ დროზე, როცა ღვთის სიმართლე აღმო-ბრწყინდება ქვეყანაზე,—მაშ გაიწმინდენით თქვენ თითონ და გასწმინდეთ სხვებიც. მაცხოვარი ამბობს: „ნეტარ-იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

ერთხელ ვინმე ჭაბუკი მივიდა იესოსთან და სთხოვა: „მოძღვარო, უთხარი ჩემ ძმას, რომ იმან მომცეს მე ჩემი ნაწილი მამის ქონებიდან“, იესომ მიუგო: „ვინ დამაყენა მე მსაჯულად თქვენზედა?“

იმათი მსაჯული, რომელიც ჩაერგოდა ამ საქ-მეში და დააშოშმინებდა იმათ ჩხუბს ქონების გაყოფაზე, უთუოდ მიაცემინებდა უფროს ძმას უმცროსისთვის, რაც მეტი ჰქონდა აღებული, ხოლო უმცროსი, რა მიიღებდა თავის ნაწილს, დამშვიდდებოდა. მა, რამ ეს იქნებოდა გარეგნული მშვიდობა; გულში-კი ძმები ისევ უკმაყოფილონი დარჩებოდნენ ერთმანეთისა. უფროსი ძმა, პირ-ველსავე მარჯვე შემთხვევაში, მისაკუთრებდა ძმის ნაწილს; ხოლო უმცროსი ძმა არ დასთმობდა თავის დანაკარგს და მტრულად გადაეკიდებოდა ძმას. ბოროტებას მოექრებოდა მხოლოდ გარეგანი ტოტები, ფესვები-კი მთლად დარჩებოდნენ და გამოიღებდნენ ახალ-ახალ ყლორტებს. ხდება ასე, რომ როცა ცეცხლი უკიდია რამეს, ზემოდან დაასხამენ წყალს და თითქოს ჩაანელებენ, მაგრამ ფერფლის ქვეშ რჩება ცეცხლი, რომელიც ჩუმად იმუშავებს და ბოლოს შეიძლება ახლის მომეტებული ძალით აენთოს. ისიც ხდება, რომ ტყვია მოხედეს ვინმეს და სხეულში ღრმად დარჩეს. ჭრილობას პირი გაუმთელდება, აღარც-კი დაეტ-ყობა ნიშანი, იტყვი ჭრილობა მთლად მორჩება, მაგრამ შიგნით ტკივილი ხან და ხან მაინც შეეწუ-ხებს კაცს. ეგრევეა ყოველივე ჩხუბი და მტრობა ხალხთა შორის. არა კმარა გარეგნულად მათი მოსპობა. გარეგნული მშვიდობიანობა, ეს მშვი-დობა არც-კია; ეს დროებითი მშვიდობაა, გალფ-სილი კედლის ნარღვევია. იესო ქრისტეს უნდოდა ძმებისათვის შინაგანი მშვიდობიანობა. იმას უნდო-და არა მარტო ამ შემთხვევაში გათავებულიყო საქმე მშვიდობით, ასე რომ ფესვებიც-კი აღარ დარჩენილიყო წინანდელი ბოროტებისა. აი ასეთი მშვიდობის მოსატანად მოვიდა ქვეყნად ძე ღვთისა, და ძალიანაც სჭირიან ეს მშვიდობა ხალხს. კაცი კაცსა მტრობს, ხალხი ხალხსა მტრობს, სარწმუ-ნოება სარწმუნოებასა მტრობს; ბოლოს, ჩვენ თითონვე ჩვენ თავს ვმტრობთ; არა ვართ კეთილ-

განწყობილებით ჩვენ საკუთარ სინიდისთან. ყოველი. რომელიც ამ საზოგადო მტრობის ცეცხლში ჩა სხამს თუნდაც ერთ წვეთს ჩამაქრობელ წყლისას, ვინც ამ ხალხის გამყოფელ მტრობის ორმოში ჩაპყრის ამოსამსებლად თუნდაც ერთ მუჭა მიწას, ის დიდ სიკეთეს მოუტანს ხალხს. ის იქნება თანაზიარი იმ საქმისა, რა საქმესაც აკეთებდა იესო, ძე ღვთისა: მშვიდობას სთესავდა ქვეყანაზე, ამისთვისაა ნათქვამი: „ნეტარ-იყვნენ მშვიდობის-მყოფელნი, რამეთუ იგინი ძე ღვთისად იწოდნენ“.

ძველად საბერძნეთში სცხოვრებდა ერთი ბრძენი კაცი, რომელსაც თავის სახლ-კარი არ გააჩნდა, დადიოდა სხვის კარის-კარ, უფრო ხშირად იქ მივიდოდა, სადაც რაიმე უთანხმოება იყო. მივიდა იქ, სადაც ძმები წაიხზებნენ, მეგობრები გაიყარნენ, ქმარსა და ცოლს შუა იძულება გაჩნდა; მოისმენს თითოეულის ლაპარაკს და დაუწყებს შერიგებას.

—უნდა შერიგდეთ!—ეუბნება.—როდესაც გაიკაწრავ რამეს, ან სხვა გაკაწრავს, ხომ არა სტოვებ უყურადღებოდ გაკაწრულს, არამედ კარგად შეიხვევ და წამალსაც დაიდებ; დაგებევა ტანისამოსი, იმას ხომ არ გადაადგებ, არამედ დააკერებ გარეულს, ან ნაჭერს დაუდებ, გამონემსავ. აგრეთვე დახეულ მეგობრობასაც სჭირიან დაკერება, წამლობა. წამლობა საჩქაროთ უნდა, რომ ჭრილობა არ გაძნელდეს. როგორც გაკაწრულზე ბუზები დაასხდებიან და ჭუჭყს მოაცხებენ, აგრეთვე იბოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც წაიხზებულ მეგობრების მტრობას უფრო უმეტებენ და აძლიერებენ. სახვალიოდ ნუ გადასდებ საქმეს, წადი მალე და შეურიგდი,—ასე ეუბნებოდა ჩვეულებრივ ბრძენი შეურაცხყოფილს.

როგორ? განა მე უნდა წავიდე და შეურიგდე?—გაკვირვებით უპასუხებდა იგი.—მე მაწყენინეს და კიდევ მე წავიდე პირველად შესარიგებლად!

—სწორედ შენ!—დამშვიდებით ეუბნებოდა ბრძენი.—შეურაცხყოფელს, შეიძლება, რცხვენიან: ის ფიქრობს, რომ შენ არ შეურიგდები, რომ შენ უკუაგდებ შერიგებისათვის მისგან გამოწვდენილს ხელს. შენთვის-კი ადვილია, შენთვის არ არის საჭირო, რომ პატიება სთხოვო, შენთვის არ არის სირცხვილი, რომ მიხვიდე, ძმურად გაუშვირო

ხელი და უთხრა: „განა ცოტა-რამ მოხდება ცხოვრებაში? თუმცა ვაწყენიეთ ერთმანეთს, მაგრამ დავივიწყოთ ის და შევირგდეთ“.

შეურაცხყოფილი სთანხმდება. მაშინ ბრძენი მიდის შეურაცხყოფელთან, ამშვიდეს მას.

—როდესაც სახლს ცეცხლი უკიდა, არწმუნებს მას ბრძენი, მაშინ დრო აღარ არის იმის განხილვაში შევიდეთ, ვინ არის ცეცხლის წაკიდებაში დამნაშავე. ჩქარა უნდა გავაქროთ, რომ უფრო არ გაძლიერდეს ცეცხლი. შეხედე, ცეცხლი უკიდა შენ მეგობრობას აიმ კაცთან; წამო ჩავაქროთ, წამო შეურიგდეთ.

—მე ბარემ წამოვიდოდი,—ეუბნება შეურაცხყოფელი. სწორეთ გითხრა, მე სინიდისიც მაწუხებს: მეტი მომივიდა. ვაწყენიე იმ კაცს; მეშინიან, რომ იმან შერიგებაზე უარი არ მითხრას, არ დამცინოს.

—მაგის თავსმდები მე ვარ, რომ მაგას არ იზამს, ამშვიდებს ბრძენი. იმ კაცს თითონ უნდა შეგირიგდეს. უყურე, ის თითონ მოდის შემთან.

და შერიგდნენ მტრები. ამნაირათ ბევრი ჩხუბი ჩააქრო ბრძენმა. ყველგან, სადაც-კი ის მივიდოდა, სიხარულით ეგებებოდნენ, როგორც ღვთის სტუმარს. ჩვენ ცხოვრებაშიაც რომ ამნაირი ადამიანები ყოფილიყვნენ, ბევრად ადვილი იქნებოდა ცხოვრება. მაგრამ მშვიდობის-მყოფელნი არა სჩანან ჩვენში, ნაცვლად, მტრობის ჩამომგდებნი, ერთი სახლიდან მეორეში ყოველნაირ სისაძაგლის გამავრცელებელნი,—ასეთები კი ბევრნი არიან. ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი; ისინი ჭეშმარიტად ღვთის შვილები არიან ამ ბოროტებისა და მტრობის შვილებ შორის.

კიდევ უფრო მომეტებულს და წმინდა საქმეს აკეთებენ ისინი, რომელნიც არა მარტო კერძოდ თითო კაცებში, არამედ მთელი ხალხების ურთიერთ განწყობილებაში შეაქვთ მშვიდობიანობა.

განსვენებული კიევის მიტროპოლიტი პლატონი, ნამდვილი გულ-კეთილი ქრისტიანი კაცი, პეტერბურგში ყოფნის დროს, ერთხელ მსახურებდა ისაკიევის საკრებულო ტაძარში. ამ დროს იქ შევიდა ინგლისელი მოგზაური, და რა-გაიგო მიტროპოლიტის მსახურება, სთხოვა წინ დამდგარიყო, რომ უკეთესად დაენახა მისი მსახურება. მსახურება

რომ გათავდა, ინგლისელმა სთხოვა მთარგმნელის პირით, რომ მიტროპოლიტს ეკურთხებინა იგი. მიტროპოლიტმა აკურთხა და უთხრა:

— ჩვენ და თქვენ ერთ სხვა და სხვა ქვეყნის, სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხი, ვლაპარაკობთ სხვა და სხვა ენებზე, მაგრამ მე მტკიცედ მწამს, რომ ის კედლები, რომლებიც ჩვენვე ხალხმა ავმართეთ ჩვენს ვასაყოფელად, ვერ მისწვთომიან ღმერთამდის, და რომ ის ზეცის სიმაღლიდან ერთნაირად სიყვარულით უტკერის ყველა ხალხებს, ყველა ერებს, ყველა ქვეყნებს. აი იმ ღმერთის სახელით მე გაკურთხებ თქვენ, — გაათავა მიტროპოლიტმა პლატონმა.

ოქროს სიტყვებია! განსხვავება ქვეყნებისა, განსხვავება კანის ფერისა, განსხვავება ენისა და ჩვეულებებისა, — ყველა ეს კედლებია. რომელნიც ჩვენ თითონ აღვმართეთ ჩვენ ერთმანეთის შუა, და რომელნიც ვერ ასწვდომიან ზეცას. მაგრამ, სამაგიეროთ, რა მაგრა ღვანან ეს კედლები დედა-მიწაზე, როგორ მიუწვთომელად ჰყოფენ ისინი ერთ ხალხს მეორესაგან! ფრანცუზს ეჯავრება ნემეცი, ინგლისელებს არ უყვართ რუსები, რუსს არ უყვარს ნემეცი და ინგლისელი. ყველა ხალხები არიან ზეციერი მამის შვილები, უნდა ისე სცხოვრობდნენ, როგორც ძმები, მაგრამ როგორც მტრები ისე-კი სცხოვრობენ. მშვიდობა უნდა ჩამოვაგდოთ ხალხთა შორის, უნდა ვლოცულობდეთ მშვიდობისათვის ყოვლისა სოფლისა, ბავშობიღვანე ჩავუნერგოთ ხალხს, რომ ყველანი ჩვენ ძმები ვართ.

მეფე იოანე მრისხანე თავის ხელის თითებს აჩვენებდა და ამბობდა: „აი ეს — შვილი თევდორეა, ეს — მისი ცოლია, რძალი ირინე, ხოლო ეს — ამის ძმა ბორისია. რომელი თითიც უნდა მოიჭრა, მაინც გეტკინება; რომელსაც აწყენინებ, მაინც საბრალოა“. აგრეთვე თითებზე შეიძლება ჩამოვთვალოთ სხვა და სხვა ხალხები; აი ეს რუსია, აი ეს ჩინელია, ეს ინგლისელია, ეს თათარია, ეს ინდუსია, ეს — ნემეცია, ებრაელია და სხვა. რომელი თითიც უნდა მოიჭრა, მაინც გეტკინება; რომელ ბავშვსაც აწყენინებ, — დედას ერთნაირად შეებრალება; რომელი ხალხიც უნდა იტანჯებოდეს, — საერთო მამა ზრუნავს მისთვის.

დანგრევა ამ კედლებისა, რომლებიც აღმართულია ჩვენის ბოროტებით ხალხთა შორის, დაახლოვება ყველა ქვეყნების ხალხებისა ერთ ძმურ ოჯახად — დიდი საქმეა, წმინდა მუშაობაა, რომელიც ელის მშვიდობის-ყოფლებს. ამისთვის ყველგან ყველას ჩააგონეთ, რომ ყველა ხალხები ერთი ღვთიური ოჯახია, და რომ უცხო კაცის წყენება ნიშნავს ძმის წყენას, საერთო მამის შეურაცხყოფას. განსაკუთრებით ჩააგონეთ ეს ბავშვებს, რომ ახალმა ხალხმა შეიტანოს ცხოვრებაში ახალი შეხედულობა და ახალი გრძნობები. ასწავლეთ იმათ სამშობლოს სიყვარული, მაგრამ არასოდეს არ უთხრათ იმათ მტრის სიძულვილზე. ქრისტე მაცხოვარმა სიტყვით დააცხრო დღევა ზღვაზე. თქვენ სიყვარულის სიტყვით დააცხრეთ მტრობა ხალხში. მშვიდობა დათესეთ ხალხში, იყავით მშვიდობის მოყოფენი ქვეყანაზე. „ნეტარ-იყვნენ მშვიდობის მოყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“.

მღვ. იოანე ლუკაინოვი.

**შობა ქრისტე მაცხოვრისა.**

ვინც კაცი შეჭმნა,  
თვითონ ყრმა იქმნა!  
ნეტარ ხარ, ჟამო,  
შენ, წამთა წამო,  
ოღესა იშვა,  
ბაგასა მიწვა,  
ცოდვილთა მხსნელი,  
დიდ-სასურველი.

სიტყვა ღვთაება,  
ზენა არსება,  
განხორციელდა  
და შეუერთდა  
ჩვენ ბუნებასა,  
ჩვენ არსებასა,  
მის საცხონებლად,  
ასამაღლებლად.

—  
ოღეს ადამმა,  
პირველმა კაცმა  
ღვთის წინ შესცოლა,  
ედემს მოშორდა,  
მაშინ აღეთქვა,  
რომ ღმერთი-სიტყვა  
ყრმად იშვებოდა,  
განკაცდებოდა.

—  
შობის ღამესა,  
დიდ-ბრწყინვალესა,  
წყნარ ანგელოზმა,  
ზე-გარდმოსულმა,  
მაცხოვრის შობა  
მსწრაფლად აცნობა  
ველისა მწყემსთა,  
საქონლის მცველთა.



სულით იღბინეს,  
 ოდეს ისმინეს  
 მათ ეს ხარება,  
 ღვთის მოწყალება,  
 მასთან გალობა,  
 ზეციერ ხმაობა  
 ღვთის დიდებისა,  
 მისი ქებისა.

ამა ნიშნითა,  
 კეთილ მიზნითა,  
 მოგვნი მოვიდნენ,  
 წყნარად შევიდნენ  
 იერუსალიმს;  
 იგი ძალით მძიმს,  
 არცა რა ესმის,  
 არცა რა იცის.

ანგელოზისგან  
 ზეციერისგან  
 მოგვთა შეიტყეს,  
 სიზმრითა იცნეს,  
 რომა იროდსა,  
 მეფეს ბოროტსა,  
 უნდოდა ეხლა,  
 რომ ყრმა მოეკლა.

ჟამი იცვლება,  
 იროდი კვდება,  
 მტერი ისპობა;  
 წმინდა სახლობა  
 უკან ბრუნდება,  
 ლუმად სახლდება  
 ქალაქ ნაზარეთს,  
 საღვურსა წინეთს.

ანგელოზთ გუნდმა,  
 ნათლით შემკულმა,  
 ღმერთსა მალალსა,  
 ყოვლის უფალსა,  
 ჰსწირა დიდება,  
 რომ სათნოება  
 კაცთა ევლინა,  
 მადლი ეფინა.

მოგვთა აქ ამცნეს,  
 აქვე იკითხეს  
 ახლად-შობილის,  
 ურიათ მეფის  
 ბინა-ადგილი;  
 ამცნეს სურვილი  
 ჯეროვანისა  
 თაყვანცემისა.

ამა მიზეზით  
 მოგვნი სხვითა გზით  
 უკან დაბრუნდნენ,  
 შინა წავიდნენ.  
 ესა იროდსა,  
 კაცსა გოროზსა,  
 დიდად ეწყინა,  
 რისხვა იჩინა.

ასე, თავიდგან,  
 შობის წამიდგან,  
 სოფლისა მხსნელი,  
 მისი მფარველი,  
 იქმნა დევნული,  
 არ მიღებულნი,—  
 შემდეგ ჯვარცმული,  
 დიდად ტანჯული.

მწყემსთა ისწრაფეს,  
 ადგნენ, იმგზავრეს,  
 თანხმად ცნობისა  
 ანგელოზისა;  
 ბეთლემის ქვაბში,  
 კლდისა მღვიმეში,  
 ნახეს ყრმა-ჩვილი,  
 ახლად-შობილი.

მეფე იროდმა,  
 კაცმა ბოროტმა,  
 შეჭკრიბა ცნობა,  
 მოგვთა აცნობა  
 ბეთლემ ქალაქი,  
 ვითა ალაგი  
 ყრმისა შობისა,  
 მის მყოფობისა.

მის მრისხანებით,  
 მისი ბრძანებით,  
 ბეთლემის ყრმობა,  
 ბევრ ათასობა,  
 იქმნა მოსპობილ,  
 მკაცრად გაწყვეტილ;  
 აქ იყო ჰაზრი  
 ფრიად მზაკვარი:

ესა სოფელი,  
 შეუღებელი,  
 ცოდვის მოყვარე,  
 ბოროტი მწარე,  
 თვის მაცხოვარსა,  
 ზეციით ხმოვანსა,  
 დღესაც ვერა სცნობს,  
 კეთილს ვერა გრძნობს.

ყრმას თაყვანი სცეს,  
 აქვე უამბეს  
 ჩვილის მშობელსა,  
 ქალწულ უხრწნელსა,  
 მოხუც იოსებს,  
 მათისა მზრუნველს,  
 რაცა-რომ ნახეს  
 ანუ ისმინეს.

მოგვნი წარგზავნა,  
 მათვე უბრძანა  
 უკან ბრუნება,  
 მასთან ჩვენება  
 ყრმის ადგილისა,  
 მის მყოფობისა,—  
 ვითომ ზრუნავდა,  
 კეთილ-ზრახავდა.

იროდს უნდოდა,  
 იგი სურვობდა,  
 რომ ამ ზომითა,  
 დიდ-ბოროტითა,  
 დევნული ყრმაცა,  
 მის არსებაცა,  
 მოსპობილიყო,  
 წარწყმენდილიყო.

ვერა გრძნობს მისთვის,  
 რომ ხრწნილებისთვის  
 კაცი მხნედ შრომობს,  
 წვალობს და ომობს,  
 ხოლო სულისთვის,  
 ამ უკვდავისთვის,  
 სრულად არ ჰფიქრობს  
 და არცა საზრობს.

აღმოსავლეთით,  
 მნათობ ვარსკვლავით,  
 მოგვთა იმიზნეს,  
 ნამდვილად იცნეს,  
 ვინ მოველინა,  
 რა შეეძინა  
 ამ ქვეყანასა,  
 ცოდვის მონასა.

ვარსკვლავ წინძლოლით,  
 მისდა მიყოლით,  
 მოგვნი წავიდნენ,  
 მშვიდად მივიდნენ  
 ბეთლემის ქვაბთან,  
 მწოლარე ყრმასთან,  
 მას თაყვანი სცეს,  
 ძღვენი შესწირეს.

ყრმა, აქ დევნული,  
 ზეციით ფარული,  
 მშობლის მკლავზედა,  
 მის წიაღზედა,  
 განსვენებული,  
 ნაზად დაცული,  
 ილტვის ეგვიპტეს,  
 შორდება თვის მტერს.

ეს არს დიდ სენი,  
 ზოგადი ჩვენი:  
 ჩვენგან ყოველსა,  
 ქვეყნადა მსვლელსა,  
 უნდა კურნება,—  
 ქრისტეს რწმუნება,  
 სულის ცხონება,  
 მის ნეტარება...

სიმართლე ვიცნოთ,  
 ეს ღრმად შევიგნოთ...

ი. ბაქუევი.

# ახალი ამბები და შენიშვნები

**\*\* ზეტერბურგი.** 21 დეკემბერს რუსეთის საზღვაო მინისტრმა სამი დღეზეა მიიღო სიცილიიდან კონტ-ადმირალ ლიტვინოვისაგან. პირველ დღეებში სწერია: „მესინაში მიველ. უზომოდ დიდი უბედურება დატრიალებულა. ქალაქი ძლიერაა დაზიანებული, ექიმები და მეზღვაურები გავგზავნე დახმარების გასაწევად.“ მეორე დღეებში ნათქვამია: „მესინაში მოვიდნენ იტალიის მეფე და დედოფალი და მადლობა გამოგვიცხადეს დახმარებისთვის. საშინელი საცოდაობაა. ნანგრევებ ქვეშ მოყოლილთა გადასარჩენად საშუალება ცოტა გვაქვს. მარტო მესინაში დაღუპულა 50,000 სულზე არა ნაკლები; ამას გარდა ბევრი ტაღლებს წაუღია ზღვაში“. მესამე დღეზე: „რადგან მახლობელ ქალაქებში საავადმყოფოები ძალზე გაივსო დაშავებულ ხალხით, ჯავშნოსანი „სლაფა“ ნეპოლში გავგზავნე შესახვევ და სადუზინფექციო მასალის მოსატანად. დამე ჯავშნოსან „ცესარევიჩ“-ით წავალ სირაკუზაში დაჭრილების წასაყვანად და ნახშირის მისაღებად. კანონირმა გემებმა „კორეცმა“ და „გილიაკმა“ მესინიდან დაჭრილები წაიყვანეს ტორენტოში.

**\*\* ნამესტნიკის ახალი თანამდებობა.** გაზეთ „რუსის“ სიტყვით, კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორად ნიშნავენ.

**\*\* რევიზიის შედეგი.** „რუსკ. სლოვო“-ში დაბეჭდილია: „საქართველოს ექსარხოსის მოკვლის შემდეგ სინოდმა კავკასიაში რამდენიმე მოხელე გამოგზავნა ამ მკვლელობის გამოსაძიებლად და აგვეთვე კავკასიის ყველა სასულიერო დაწესებულების სარევიზიოდ. რევიზორები უკვე დაბრუნდნენ პეტერბურგში და წარადგინეს ანგარიშები სასულიერო დაწესებულებათა მდგომარეობის შესახებ. თავის მხრივ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამაც წარუდგინა სინოდს მოხსენება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მღვდლები და სასულიერო დაწესებულების მოსამსახურენი მონაწილეობას იღებენ მთავრობის საწინააღმდეგო დაწესებულებებში. სინოდმა 13 დეკემბრის სხდომაზე ყველა ეს დოკუმენტები განიხილა. მოხსენების წინასწარმა განხილვამ სხდომაზე დამსწრეთ დაანახვა, რომ როგორც სასინოდო კანტორაში, ისე ტფილისისა და ქუთა-


ისის სასულიერო მმართველობებში არა სასულიერო ელემენტები მსახურობენ. ბევრი ამათგანი მხნედ მონაწილეობას იღებს მემარცხენეების ორგანიზაციებში. ამას გარდა გამოირკვა, რომ ზოგიერთი მოხელე ქრთამებს იღებს, ყალბ საქორწინო მოწმობებს ადგენს და სხვა. სინოდს უნდა, გამოარკვიოს, რამდენ მოხელეს მიუღია მონაწილეობა ნიკონის მკვლელობაში, ვინ იყვნენ ეს მოხელენი და რაში გამოიხატა მათი მონაწილეობა. სინოდმა ჯერ-ჯერობით გამოარკვია, რომ 12 მოხელე მემარცხენე ორგანიზაციებში იღებს მონაწილეობას, აგრეთვე ის, რომ ეს მოხელენი ქრთამებს იღებდნენ და ბოროტმოქმედებებს სჩადიოდნენ. დადგინეს, დაუყონებლივ დათხოვილ იქნენ სამსახურიდან ეს მოხელენი, რაიც დღეებში უკვე ეცნობა საეპარქიო მთავრობას. მეორე კრებაზე სინოდი დაწვრილებით განიხილავს მოხსენებას და საკითხს საქართველოს საექსარხოსოს გაუქმების შესახებ“. სჩანს რომ ბევრი ადგილი გაეხსნებათ რუსებს...



**\*\* „კასპის“ სიტყვით,** ნამესტნიკის თანამემწე სენატორი მიცკევიჩი პეტერბურგს მიდის. მიზეზი სახელმწიფო სათათბიროში კავკასიის შესახებ კამათია.

**\*\* ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულებს 19 დეკემბერს** კერძო თათბირი ჰქონდათ პურიშკევიჩის სიტყვის გამო. კერძო კრებამ აირჩია კომისია და მას დაავალა ხომიაკოვის სახელობაზე გასაგზავნ საპროტესტო დღეების რედაქცია. ამავე კომისიას დაევალა, წარუდგეს ნამესტნიკს და თანაგრძნობა გამოუცხადოს.

**\*\* გაზეთები სწერენ:** საქართვებოს სინოდის კანტორის წევრი, არქიმანდრიტი ამვროსი, გადაუყვანიათ რიაზანის გუბერნიაში, ტროიციის მონასტერში და აუკრძალავეთ მისთვის მღვდელთ-მოქმედების შესრულება.

**\*\* „როგორც“ ზაკავ. ობოზრენ“-ს ატყობინებენ,** ექსარხოსის მოადგილე ეპისკოპოსი გრიგოლი რუსეთში გადაჰყავთ მთავარ-ეპისკოპოსად. მალე მიტროპოლიტობასაც მიიღებს.





# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

**ს ი ტ უ ვ ა.**  
თამაზული ძვანგითის წმიდის გიორგის მკაცრი-სიაში 10 გიორგობისთვის 1908 წლისა.

წმიდა მთავარმთავარო და ღვწლით შემოსილ გიორგი, ეგედრე ღმერთს ჩვენთვის.

აი ამ სიტყვებით მივმართავთ ხოლმე ჩვენ, საყვარელნო, ლოცვის დროს წმიდანთა საზოგადოდ და მთავარმოწამეს გიორგის კერძოდ, და ვსასოებთ, რომ ჩვენს ვედრებას წმიდანნი შეისმენენ და თავის მთარველობას გავგიწვევენ. ეს ჩვეულება, ლოცვის დროს წმიდანთა მოწოდება, შემოდებილი იყო ჯერ კიდევ ძველს აღთქმაში, რაცა სჩანს წმ. მეფის და წინასწარმეტყველის დავითის ლოცვითგან, რომელიც ვედრებოდა უფალს ამ ნიტყვებით: უფალო ღმერთო აბრაამისა, და ისაკისა და ისრაილისა, მამათა ჩვენთა, დაიცვე ერთი შენი-ა (16 ნებტ. 29,18) ე. ი. უფალო, ღმერთო ჩვენო, დაიცვე ერთი შენი ვედრებითა ანუ მეოხებითა მამათა ჩვენთა აბრაამისა, ისაკისა და ისრაილისა. ეს ჩვეულება ძველის აღთქმიდგან გადმოვიდა ახალს აღთქმაში და ფრიად გავრცელებული იყო უკვე მეოთხე საუკუნეში. წმ. კირილე იერუსალიმელი მოგვითხრობს, რომ მის დროს წირვაზედ მოიხსენებდნენ „პირველ-შესვენებულთა, პირველად მათ-მთავართა, წინასწარ-მეტყველთა, მოციქულთა. მოწამეთა, რათამცა ლოცვითა მათითა და შუამდგომლობითა მიითვალოს ღმერთმან ლოცვა ჩვენი“. აქედგან ცხადად სჩანს, თუ რაოდენად ძველი ჩვეულებაა წმინდათა მიმართ ლოცვით მიმარ-

თვა. ან და როგორ არ უნდა მივმართოთ ჩვენ ლოცვით წმინდანთა, როცა ვიცით, რომ ისინი ქვეყნად ყოფნის დროს ყოველს წამს მზათ იყვნენ სიტყვით და საქმით აღმოვიჩინათ შემწეობა ჭირსა და იწროებასა შინა მყოფთათვის. საკმარისია მოვიგონოთ, თუ რაოდენი ღვაწლი დასდო წმიდა მთავარ-მოწამე გიორგიმ ქალაქის ვლასის მცხოვრებთ, შევიწროვებულთ საზარელის ვეშაპისაგან. ხოლო თუ წარმართთათვის ზრუნავდნენ წმ. მოწამენნი, განა ქრისტიანთ მოაკლებენ იგინი მზრუნველობას? ქეშმარიტად, რომ არ მოაკლებენ და აკი არც მოუკლიათ! როგორც ვიცით, მაგალითად, წმ. მთავარ-მოწამის გიორგის ცხოვრებიდგან, მან მთელი თვისი ძალდონე და სიცოცხლე შესწირა ქრისტიანეთა კეთილ-დღეობას და წარმატებასა. მაგრამ წმიდანებმა ეს არ გვაკმარეს, მათ აღგვი-თქვეს, — ამა ქვეყნის განსვლის შემდგომაც, შემწეობა და მეოხება. წმ. მოციქული პეტრე ამბობს: უწეი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატოვება საყოფელისა მის ჩემისა, ვითარცა იგი უფაღმან ჩემმან იესო ქრისტემ მაუწეა მე და ვისწავა, რათა კაცად-კაცადსა თქვენსა ქვენდეს შემდგომად განსვლის ჩემისა ამათი მახსენებისა ყოფაჲ (2 პეტრესი 1,14-15) ე. ი. წმიდა მოციქული როგორც სიცოცხლის დროს ზრუნავდა მორწმუნეთათვის, განაღვიძებდა მათ ცოდვისაგან და მოუწოდდა ქმნად კეთილისა, აგრეთვე, ჰპირდებდა, განსვენების შემდგომაც არ დავიწყებას და მოხსენებისა ყოფასა. და ეს ასეც უნდა იყოს. სიყვარული ისეთი ძლიერი გრძნობა არის, რომელსაც ვერ აღმოფხვრის ადამიანის გულიდგან ვერც დრო და ვერც მანძილი. განა შესაძლებელია დედამ დაივიწყოს შორს წარსული, გინა დაკარგული, გინა განსვენებული საყვარელი შვილი? თუ კი დედის მიერ საყვარელის შვილის დავიწყებას ჩვენ ადამიანის ბუნების წინააღმდეგ მოვლენად შევრაცხავთ, მაშ რა საკვირველია, რომ ჩვენდამი სიყვარული და სიბრალული წმიდანებმა ამ ქვეყანაზე არ დასტოვონ და საიქიოდგანაც გადმოგხედონ სიყვარულითა და მოწყალე თვალთ!..

ეს თავის თავად ცხადია, საკითხი მხოლოდ ის არის: ძალუძსთ თუ არა წმინდანთა იცოდნენ ჩვენი ჭირი და ღმერთი, ისინი ხომ ადამიანები არიან და მამასადამე არა ყოვლისა მცოდნენი და

არა ყოველგან მყოფნი? ვისაც საღმრთო წერილი უკითხავს და ჩაკვირებია მას, იმისთვის ამ საკითხის პასუხიც არ არის ძნელი, ვინაჲთგან საღმრთო წერილი მოწმობს, რომ წმიდანებმა ჯერ კიდევ ქვეყანაზედ ყოფნის დროს იცოდნენ ბევრი ისეთი რამ, რომელიც სხვებისათვის დაფარული იყო. აი ერთი მრავალთ მაგალითთაგანი. მეფეთა მეოთხე წიგნი მოგვითხრობს, რომ ელისე წინასწარმეტყველის დრომ ასურის მეფე აღმხედრდა ისრაელსა ზედა და განიზრახა დაბანაკება წინდაწინ არჩეულს დაფარულს ადგილს. მაგრამ წინასწარმეტყველის ელისეს რჩევით, ისრაელთა მეფემ სწორედ იმ მხრით გაამაგრა სამზღვრები და ასურნი შეურაცხყოფილნი იქნენ. ასურისმეფემ რაოდენჯერმე შეეცადა სხვა და სხვა მხრით დასცემოდა ისრაელთ, მაგრამ ვერსად მიაღწია საწადელს. შეძრწუნდა ამისის შემდგომ მეფე ასურისა, შეჰკრიბნა მხედართმთავარნი თვისნი და ჰკითხა მათ, თუ რომელი მათგანი ატყობინებს მის განზრახვებს ისრაელთა მეფეს- მაშინ ერთმა მსახურთაგანმა მიუგო მეფეს ასურისას: უფალო ჩემო, მეფეო, წინასწარმეტყველი ელისე, რომელი არს ისრაელსა შორის მიუთხრობს მეფეს ისრაელისასა ყოველსა სიტყვასა, რომელსა თუ იტყოდე საწადლსა შინა საუნჯისა შენისას (4 მეფ. 6,8—12).

ცხადია, რომ თუ წმიდანები სიცოცხლეშივე იგებდნენ სხვის აზრთა და განზრახვათა, მით უადვილესია მათთვის ჩვენის ვედრების შესმენა ეხლა, როდესაც იგინი განვიდნენ ამა ქვეყნით და სულნი მათნი განთავისუფლდნენ ნივთიერების დამოკიდებულებისაგან. ეხლა განწმენდილის და განბრწყინვებულის გონების თვალთ და ყურით ისინი უკეთ ხედვენ და ისმენენ. უფალი იესო ქრისტე გვასწავებს, რომ წმიდანნი სწორ ანგელოზთა აჩიანო ლუკ. 20,36), ხოლო ანგელოზთა შესახებ გვეტყვის, რომ მათ შორის იქნების სისარული ერთს ზედა ცოდვასა, რომელმან შეინანოსო (ლუკ. 15,10). მეორე ადგილას კი მოგვითხრობს, რომ მამათმთავარმა აბრაამმა უწყობდა ურწმუნოება და გულქვაობა ჯერ კიდევ ცოცხალთა ძმათა მდიდრისათა, რომელთა არა ისმინეს არცა მოსესი, არცა სხვათა წინასწარმეტყველთა, რომელი იყვნენ შემდეგ მოსესაო (16,27—31).

არ დაგვიტყვებს ჩვენ საღმრთოწერილი უმეცრებად ამის შესახებაც, თუ რაოდენად ძლიერია

შუამდგომლობა წმიდანთა წინაშე ღვთისა. მოციქული იაკობი გვასწავებს, რომ წინაშე ღვთისა ფრიად შემძლებელ არს ღოცვაჲ მართლისა შეწევნად ჩვენდაო და ასურათხატებს ამ აზრს შემდეგის მაგალითით: იღია კაცივე იყო მსგავსი ჩვენი, და ღოცვა იღოცა არა წვიმად, და არა წვიმად ქვეყანასა ზედა სამ წელ და ექვს თვე. და კვლად იღოცა, და ცამან მოსტა წვიმაჲ და ქვეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თავისი (იაკ, 5:16—18).

შევისწავოთ აქეთგან ჩვენცა, საყვარელო, თუ რაოდენ სასარგებლო არს ჩვენთვის მეოხება და შუამდგომლობა წმიდანთა და ხშირად მიუშაროთო ჩვენის სამრევლოჲს მცველს და მფარველს ღვთივ-განბრწყინვებულს გიორგის სიღრმით გულისაჲი აღმონახეთქით: წმიდაო მთავარ-მეწამეო და ღვაწლით შემოსილო გიორგი, კვედრე ღმერთს ჩვენთვის. ამინ.

მღვ. კ. ტანცაძე.

**წმიდა მოციქული პავლე.**

წმიდა მოციქული პავლე იყო ისრაელი, ბენიამინეს ტომიდან, ფარისეველი 1); ის დაიბადა კილიკიის ქალაქს ტარსში და ითვლებოდა რომის მოქალაქედ 2); მოციქულად მოწოდებამდე მას ერქვა სავლე. სავლემ საერო მეცნიერება შეისწავლა სამშობლო ქალაქს ტარსში და შემდეგ, ებრაული სჯულის უკეთესად შესასწავლად წავიდა იერუსალიმში მაშინდელს გამოჩენილ რაბინ გამალიელთან 3); და თითონაც რაბინად (მოძღვრად) ემზადებოდა. ბუნებით ნიჭიერმა სავლემ მშვენიერად შეისწავლა სჯული მოსესი და, როგორც ფარისეველი, სასტიკი აღმასრულებელი იყო მისი.

ამ დროს წმ. მოციქულებმა იერუსალიმში ბევრნი მოაქციეს ქრისტე მაცხოვრის სჯულზე, ერთი ამ მოციქულთაგანი იყო პირველ-წამებული არქიდიკონი სტეფანე, რომელიც უშიშრად აღიარებდა და ჰქადაგებდა მაცხოვრის სჯულს და ამხელდა

1) ფილ. 3,5; 2) საქმე მოსც. 9;11,21,39; 16,37—38; 25,9—13; 3) საქმე მოც. 29,3;

ურიებს; სტეფანე არქიდიაკონი ურიებმა ჩააქვავეს და სავლემ, რომელიც ამას დაესწრო, იყო თანა-ჭერმხინებელ მოკვლის მისისა 4); ის სხვა ქრისტიანებსაც სასტიკად სდევნიდა, იყო ფრად მანებელ ეკლესიასთა მიმართ, სსხლებს შევიდოდა და ითრევდა მამებს და დედებს და მისცემდა სსხერობილედ 5); სავლეს იქამდე სძულდა ქრისტიანები, რომ სასესე იყო გულის-წერობითა დაკვლითა მოწყაფთა ზედა უფლისათა 6).

იერუსალიმში აღძრული დევნულების გამო, ქრისტიანები პალესტინის სხვა და სხვა ადგილებში გაიხიზნენ; სხვათა შორის, ბევრი დამასკეშიც მივიდნენ. სავლემ გამოითხოვა მღვდელთ-მთავრიდან ნებართვა ქრისტიანების დაქერისა დამასკეში და გაემართა იქ მხლებლებით. გზაზედ მოხდა სასწაულებრივი მოქცევა სავლესი; როცა ის და მისთანანი გზად მიდიოდნენ, შეეგსეუჯად იყო გარემოს ბრწყინვალეობა ნათლის ზეცით გარდამო. და იგი (სავლე) დაეტა ქვეყანას ზედა და ესმა ხმა, რომელ რქვა მას: საუელ, საუელ! რას მდევნი მე? სავლემ ჰკითხა: შენ ვინ ხარ, უფალე? ჰრქვა მას, მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი. იესომ უბრძანა სავლეს შესულიყო ქალაქში და იქ გაიგებდა ყველაფერს. სავლეს დაეკარგა მხედველობა, თვალები ეხილა, მაგრამ ვერას ხედავდა; განცვიფრებულმა მხლებლებმა შეიყვანეს სავლე ქალაქს დამასკეში; აქ სცხოვრებდა ერთი ქრისტიანი სახელად ანანია; იესოს ბრძანებით ამ ანანიამ მონათლა სავლე, რომელიც სამი დღე-ღამე ლოცულობდა და მარხულობდა; მონათვლისთანავე სავლეს თვალები აეხილა. 1);

ამის შემდეგ, სავლე უწინ ფარისევლი ფარისევლთაგან, სასტიკი აღმასრულებელი მოსეს სჯულისა და უფრო სასტიკი მდევნელი ქრისტეს მოწაფეთა, შეიქმნა არა მხოლოდ ქრისტიანედ, სარწმუნოების ერთგულად, არამედ ქრისტეს მოციქულად და დაუღალავ მქადაგებლად; არც ერთს მოციქულს არ დაუთმენია იმდენი ვნება, ტანჯვა და წვალება ქრისტესთვის, როგორც ამ რჩეულს ქურს.

ნათელლების შემდეგ, წმ. პავლე წავიდა არა ბეთში, სადაც დარჩა სამი წელიწადი და აქ ემზადებოდა ქრისტიანობის საქადაგებლად; მაცხოვარი ეცხადებოდა მას და ასწავლიდა სჯულს. არაბეთიდან წმ. პავლე მოვიდა იერუსალიმში. პეტრე, იაკობ და იოანე მოციქულებთან, ხოლო აქედამ სამშობლო ქალაქს ტარსში, სადაც ბარნაბა მოციქულთან ერთად მთელი წელიწადი გაატარა ეკლესიის საქმეების მოწყობაში.

თანახმად სულიწმიდის ბრძანებისა, პავლე მოციქული მარკოზის და ბარნაბას თანხლებით, გაემგზავრა ქრისტეს სჯულის საქადაგებლად წარმართთა შორის. მან მოვლო სელევკია და კუნძული კვიპროსი; ქეშმარიტება მისგან ქადაგებული სჯულისა მტკიცდებოდა მრავალი სასწაულებით. ეს იყო პირველი მოგზაურობა წმ. პავლე მოციქულისა; ბევრი დევნა და გაქირვება დაითმინა წმიდა მოციქულმა ურწმუნოთაგან, მაგრამ ბევრიც მოაქცია ქეშმარიტს გზაზე ამ მოგზაურობის ეამს; შემდეგ ამ მოგზაურობისა წმ. პავლე დაესწრო იერუსალიმში მოციქულთა კრებას, რომელიც მოხდა 52 წ. მალე კიდევ გაემგზავრა მოციქული პავლე ლუკას და შილას თანხლებით ქრისტიანობის საქადაგებლად; განვლო სირია, კილიკია და ლუკონია და პირველად გადავიდა ევროპაში — მაკედონიაში, იყო ათინაშიც — საბერძნეთში; წელიწად ნახევარი სცხოვრობდა კორინთში, შემდეგ დაბრუნდა უკან და გზაზე გაჩერდა ფეფსოში და კესარიაში. ამ მეორე მოგზაურობაშიც ისევ ბევრი გაქირვება გამოიარა, როგორც პირველში, მაგრამ ნაყოფიც კარგი მოჰყვა ამ ქადაგებას — ყველა ქალაქებში, სადაც კი გაჩერდა მოციქული, დააარსა ეკლესიები. მცირე შესვენების შემდეგ, წმ. მოციქული მესამედ გაემგზავრა საქადაგებლად; ბევრი ეკლესიები ახლად დააარსა, ბევრგანაც ძველი დაარსებულნი განამტკიცნა. ეს მოგზაურობა წმ. მოციქულისა იყო უკანასკნელი; კესარიაში ის შეიპყრეს და საპრობილეში ჩასვეს; ორი წლის პატიმრობის შემდეგ, ის გაგზავნეს რომში, სადაც 67 წ. ნერონ იმპერატორის ბრძანებით, მას წარკვეთეს თავი.

წმიდა პავლე მოციქული მოღვაწეობდა ოცდაათი წელიწადი; გარდა ზეპირი ქადაგებისა, ამ ხნის განმავლობაში წმ. მოციქულმა დასწერა

4) ს. მოც. 8.1; 5) ს. მ. 8,3; 6) ს. მოც. 9,1;

1) თ. 9, საქმე მოციქულთა.

თოთხმეტი ეპისტოლე რომელთაგანაც ზოგი მიწერილია მთელს ეკლესიებისადმი, ზოგიც კერძო პირებისადმი. ამ ეპისტოლეებში ანუ წერილებში წმ. მოციქული ამტკიცებს სარწმუნოებას, არღვევს ცრუ მოძღვართა წინააღმდეგს აზრებს, განმარტებს სხვა და სხვა საკითხებს ეკლესიის ცხოვრებისას, ამხნეებს ქრისტიანებს. აი პავლე მოციქულის ეპისტოლენი: რომაელთა, ბირველი და მეორე კორინთელთა, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, პირველი და მეორე თესალონიკელთა, პირველი და მეორე ტიმოთეს, ტიტეს, ფილიმონს და ებრაელთა მიმართ.

**ეპისტოლე რომაელთა მიმართ.**

დანამდვილებით არ არის ცნობილი, როდის და ვინ დააარსა რომის ეკლესია; უქვევლი კია, რომ იგი აღრე იქმნა დაარსებულთ; ამ ეკლესიის წევრებად იყვნენ, როგორც ურიათა, ისე წარმართთაგან მოქცეული ქრისტიანები.—წმ. მოციქულს ესმოდა რომაელ ქრისტიანების ამბები, სურდა მას თვითონ ენახა რომაელნი და განემტკიცებინა იგინი—მსურის სიფჯა თქვენა, რათა მიწამექცე თქვენ მადლი სუდიერი დასამტკიცებლად თქვენდა 1); მაგრამ, რადგანაც თვითონ ვერ მოუხდა წასვლა, დასწერა ეპისტოლე და გაატანა იგი რომში ფიბეს, კენქერელთა ეკლესიის მსახურს. 2);

მთავარი აზრი, რომელიც გატარებულია და განმარტებული რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ისაა, რომ ერთად ერთი საშუალება ცხოვრებისა და სასუფევედლის დამკვიდრებისა, როგორც ურიათა ისე წარმართთაგან მოქცეულთათვის, არის სარწმუნოება იესო მაცხოვრისა, ქრისტესი, რომელმაც გამოგვიხსნა ჩვენ ცოდვისაგან, განგვანათლნა სულიწმიდის მადლით და შეგვიყვანა დიდების სასუფეველში. ეს მოძღვრება განმარტებულია პირველს თერთმეტს თავში; ეს არის პირველი ნაწილი ეპისტოლესი. შემდეგი ნაწილი, ზნეობითი, შეიცავს დარიგებას შესახებ იმისა, როგორ უნდა ცხოვრება თანახმად ქრისტეს სჯულისა და სწავლისა (თ. 12); აქვეა დარიგება მთავართა მორჩილებაზე, სარწმუნოებით უძღურთა შეწყნარებაზე, საქმელზე და სხვათა (თთ. 13,14,15,1—13); ეპისტოლეს ბოლოში წმ. მოციქული, შემდეგ სხვა და

სხვა კეთალი სურვილებისა, ამბობს იმ შრომაზე, რომელმაც დააბრკალა მისი, რომში მისვლა და მოკითხვას უთვლის ზოგიერთ პირებს. (თ, 15,14—16 თთ.)

**სამწყემსო ეპისტოლეა.**

წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლეებს ტიმოთეს და ტიტეს მიმართ ეწოდებათ კიდევ სამწყემსო ეპისტოლეა, რადგანაც იგინი მწყემს მთავრებისადმი (ეპისკოპოზებისადმი) არიან მიწერილნი და მათში განსაკუთრებით ვრცლად აღწერილია მოვალეობანი და თვისებანი ქვემარტ მწყემსთა და მწყემსთ მთავართა.


წმიდა ტიმოთე, რომელთანაც მიწერილია ორი ეპისტოლე, მოწაფე და თანამშრომელი წმ. პავლე მოციქულისა, იყო ლუკაონიის ქალაქის ლუსტრიდამ; შამა მისი იყო ბერძენი და დედა ურია 1); დედასთან ერთად, ღრმად მორწმუნე დიდი დედა ლუდია ფრად ზრუნავდა ტიმოთეს აღზრდაზე და ამიტომ მან სიყრმადგანვე იცოდა საღვთო წერილი 2); ქრისტეს სჯულზე ტიმოთე მიაქცია წმ. პავლე მოციქულმა, 3); ამ დროიდგან იგი თან ახლდა წმ. მოციქულს პავლეს მოგზაურობის დროს; წმ. პავლე ხშირად გზავნიდა ტიმოთეს სხვა და სხვა ეკლესიებში მორწმუნეთა განსამტკიცებლად და საქმეების მოსაწესრიგებლად 4); იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ეფესოში წმ. მოციქულმა ბევრი უწესოება ნახა და, რადგანაც თვითონ მაკედონიაში მიეჩქარებოდა, ამიტომ აქ ქრისტიანობის და სახარების სწავლის შეურყევლად და წესიერების დასამყარებლად ტიმოთე დაადგინა ეპისკოპოზად. 5);

**შინაწესი ჰიერეეი ეპისტოლეისი ტიმოთეს მიმართ.**

ეს ეპისტოლე შესდგება ექვსი თავისგან. პირველად წმ. მოციქული ჩვეულებისამებრ მოკითხვას ტიმოთეს და უსრვებს მას მადლს, მშვიდობას და და წყალობას იესო ქრისტესგან (1,1—2); შემდეგ აფრთხილებს ცრუმოდვართაგან, რომელთაც უნდათ მოძღვარ ყოფა, მაგრამ არ შეუსწავლიათ სჯული და ამიტომ არ ესმით არც ის, რასა იგი

1) რომ. 1,41; 2) რომ. 16,1.

1) ს. მოც. 14,6; 18,1—2; რომ. 16,21; 2) ტიმ. 1,5; 3,15; 3) ს. მ. 14 შესდ. 1 ტიმ. 1,2; 2 ტიმ. 3,10—11; 4) 1 კორ. 4,17; 16,10; ფილ. 1,1; 2,14—22; 1 თეს. 3,2; ებრ. 13,23; 1 ტიმ. 1,3; 2 ტიმ. 2,1—2 15 და 1 ხუთი. 5) 1 ტიმ. 1,3;



იტყვიან, და არც ის, ვიეთთავის დაამტკიცებენ; შემდეგ ჰაციქული მადლობას სწირავს ღმერთს მოციქულად წოდებისათვის, კვალად მოძღვრის ტიმოთეს იბრძოლოს პატიოსანი და ქეშმარიტი ბრძოლით, იქონიოს კეთილი გონება და კეთილი სარწმუნოება. (თ. 1). მეორე თავი შეიცავს დარიგებას ლოცვის შესახებ; ლოცვა საჭიროა ყველასთვის, რათა მშვიდობით და მუუდრეკებით გსცხონდებოდეთ ყოველითა ღვთის მსახურებითა და სიწმიდათა. მესამე თავში წმ. პავლე მოციქული სწერს რა თვასებისანი უნდა იყვნენ სამღვდელო პირები — ეპისკოპოზნი ხუცესნი და დიაკონნი. ეპისკოპოზობას წმ. მოციქული კეთილ საქმედ უწოდებს; მაგრამ ამ კეთილ საქმის მსურველს უნდა ჰქონდეს შესაფერი თვისებანი. ჯერაქს ეპისკოპოზისა, რათა უბრალო იყოს, ერთის ცოლის ქმარ, ფრთხილ, წმიდა, შემკულ, სტუმართმოყვარე, სწავლულ, არა შეღვინე, არა ანგარ, არა სსძაგლის შემძინებულ, არამედ მუუდრე, ულაღველ, გერცხლის უყვარელ. რადგანაც ეპისკოპოზს აბარია მართვა და გამგეობა ეკლესიისა, ამიტომ ის უნდა იყოს კეთილად გამგებულ სსხლისათვის, რომელიც წარმოადგენს მცირე ეკლესიას; თუ მას არ შეუძლიან თავისი სახლის მართვა, შევილების დამორჩილება, როგორ შესძლებს ის დამწყსვას ეკლესიისას, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხასიათის და ასაკის წევრთაგან? ეპისკოპოზად არ უნდა დაადგინონ ახლად მოქცეული ანუ სჯულიდან, რათა არა განჯადნეს და სსსჯელის შევიდეს ეშმაკისას; გარდა ამისა გარეშეთაგანც უნდა კეთილი მოწმობა ჰქონდეს ეპისკოპოზს; ყველა ეს თვისებანი ხუცესისთვისაც საჭირონი არიან.

შემდეგ აღწერილია დიაკონთა თვისებანი; დიაკონნი უნდა იყვნენ წმინდა, ნუ რასს მეტყველ (არპირნი), ნუ ღვინისა ფრად მორჩილ, ნუ სსძაგლის შემძინებულ, აქესმცა საიდუმლო იგი სარწმუნოებისა წმიდათა გონებითა. დიაკონად დადგენა შეიძლება მხოლოდ გამოცდის შემდეგ. უყვედრელი ცხოვრებისანი უნდა იყვნენ აგრეთვე სამღვდლო პირების ცოლებიც. (თ. 3).

მეოთხე თავში წმ. მოციქული აფრთხილებს ტიმოთეს და მასთან ყოველს სამღვდლო პირს ცრუმოდვართაგან. სამღვდლო პირი უნდა ერიდოს დედაბერებრთა ზღაპართა, ე. ი. ქორიკანობას, ცილის წამებას, უნდა იწვართოს თავი თვისი ღვთის მსახურებითა, რადგანაც ეს სასარგებლოა ყველასთვის და ყველგან; სამღვდლო პირი უნდა იყოს

მაგალითი სხვისთვის სიტყვითა, სღვითა სიყვარულითა სუფითი, სარწმუნოებითა სიწმიდათა (თ. 4). მეხუთე თავში წმ. მოციქული დარიგებას აძლევს წმ. ტიმოტეს, როგორ მოექცეს იგი მრევლს — მსხუცებულთა ნუ რისხავ, არამედ ღოცვედ, ვითარცა მამსა, ჭახუსა, ვითარცა ძმათა; მსხუცებულთა დედათა, ვითარცა დედათა, ჭახუკათა, ვითარცა დათა, ყოველითა სიწმიდათა; ქვრივთა ჰტივედ, ჭეშმარიტად ქვრივთა. შემდეგ აღწერილია კანონები შესახებ ქვრივთა, რომლებიც მოისურვებენ ეკლესიის სამსახურს, კეთილად მსახურ ხუცესთა, ხუცებზე საჩივრების მიღებისა, შემკოდებელთა მხილებისა და ხელდასხმისა. მეექვსე თავში მოციქული დარიგებას აძლევს მონებს, მდიდრებს და თვით ტიმოთესაც.

მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ, როგორც მისგანვე სჩანს მიწერილია ტიმოთესადმი რომიდან (2 ტიმ. 1,8,12,16,17; 4,6), სადაც წმ. მოციქული დატყვევებული იყო და ღლე ღლეზე ელოდდა წამებას; ამიტომ შეიძლება ეს ეპისტოლე ჩაითვალოს წმ. მოციქულის ანდერძად.

2 ეპისტოლე ტიმოტეს მიმართ შესდგება ოთხი თავისგან. პირველს თავში, შემდეგ ჩვეულებრივი მთკითხვისა და კეთილი სურვილებისა, წმ. მოციქული ქებით იხსენებს ტიმოთეს ერთგულობას და ცრემლებს, რომლებსაც ღვრიდა მოციქულთან განშორების ჟამს, აგრეთვე მისი მშობლების მსურვალე სარწმუნოებას; შემდეგ ურჩევს სარწმუნოების დაცვას და აუწყებს, რომ ყველამ დაუტყვევს იგი, გარდა ონისიფორესი, რომელსაც იხსენებს მადლობით. —

მეორე თავში წმ. მოციქული სამწყემსო დარიგებას აძლევს ტიმოთეს. ტიმოთემ უნდა გადასცეს მორწმუნე კაცთა ის სწავლა, რომელიც მიიღო მოციქულისგან; როგორც კეთილმა მოღვაწემ, მან უნდა დაითმინოს გაჭირვება; მებრძოლი მხოლოდ მაშინ არის სათნო უფროსისა, როცა ერთგულად იბრძვის და არ ერთობა სხვა და სხვა სოფლური საქმეებით, ტიმოთეც ამ რიგადვე უნდა მოიქცეს. მაგრამ კეთილი ნაყოფი გამოაქვს მხოლოდ იმისთანა ღვაწლს, რომელიც სრულდება წესიერად და კანონიერად. მოღვაწეობის ჟამს ტიმოთეს უნდა ამხნეებდეს მაგალითი ქრისტე მაცხოვრისა და მისი მონის პავლესი, რომელიც თუმცა შეკრულია საპყრობილეში, მაგრამ იქაც ქადაგებს, რადგანაც

სიტყვა ღვთისა არა შეკრულ არს. ტიმოთე უნდა ერიდოს სიტყვათა ლალვისათა, რადგანაც მათგან არაფერი სარგებლობა არ არის და უნდა წარადგინოს თავი თვისი წინაშე მღვთისა მუშაკად უტყუარად. უნდა ერიდოს ბილწთა მათ და ცუდთა სმათა, რადგანაც ღვთის მონას არ შეფერის ლალვა (ჩხუბი), არამედ იგი უნდა იყოს მუდრად და სხიერ უოგელთა მიმართ, მასწავლელ, უმანკო, მშვედობით მასწავლელ უმანკოთა მათ. მესამე თავში მოციქული სწერს, რომ უკანასკნელს დროში შემოვა დიდი გარყვნილება და განდგომილება სარგებუნოებისგან და ამიტომ ურჩევს ტიმოთეს მტკიცედ იდგეს სარწმუნოებაზედ, რომელიც სიყრმიდგანვე იცის. მოციქული ბრძანებს: ჭქადაკე სიტყვა, ზედა ადგე უამითი და უყამოდ, ახსიდე, შერისხენ და ნუგეშინისეც უფელითა სუფგრძელებითა და მოძღვრებითა, ბოლოს მოციქული ტიმოთეს იწვევს რომში სანახავად.

ლებმა, ურჩევს მთავრობის ერთგულებას, მორღებას ტყუილ უბრალო ლაპარაკისგან და მთავრებისტოლეს მოკითხვით. (თთ. 2—3).

ს. 3.

### გ ა ნ წ ხ ა ლ ე გ ა .

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის მკვირავულ ჟურნალს

XXV წ. „მწყემს“-ზე XXV წ.

ქ უ რ ხ ა ლ ი ს ფ ა ს რ :

12 თეთ 3 მან. - 6 თეთ 2 მან.

ბაზუთზე ხელის-მოწერა შეიძლება და ყვარიალაში—რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულ შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარ 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ღ პირველ ივლისს 1 სოფლის მასწავლებელთ და ღარბით გაზეთები და თმობათ მთელის წლით ო რ ძ ა ნ ე თ ა დ .

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ყვარიალაში რედაქციის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შელიათ ამ აღრესით: ВЪ Квирилы, въ редак журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების დენიმიე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომნიც მანეთნახევრად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გაკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემ რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

ეპისტოლე ტიტუს მიმართ. წმ. ტიტე, პავლე მოციქულისგან მოციქული წარმართობიდან იყო მისი თანამშრომელი და თანამგზავრი ქადაგების დროს და ბევრჯელ ასრულებდა წმ. მოციქულის სხვა და სხვა მონდობილობას 1); კრიტეში ეკკლესიის დაფუძნების შემდეგ, წმ. მოციქულმა იქ დასტოვა ტიტე, რათა ნაკლული იგი განეგო და დაედგინა ქალაქად ხუცესნი. 2);

შინაწსი ეპისტოლეჟსი. ეპისტოლე შესდგება სამი თავისგან. შემდეგ ჩვეულებრივი მოკითხვისა და მცირე წინასიტყვაობისა, მოციქული აძლევს წმ. ტიტეს ღარიგებას ხუცესთა ხელდასხმის შესახებ და ჩამოთვლის მათს თვისებებს, ეს თვისებანი იგივეა, რაც ეპისკოპოზთა თვისებანი პირველს ეპისტოლეში ტიმოთეს მიმართ; ურჩევს სიფრთხილეს კრიტელებთან მოპყრობაში. (თ. 1); აძლევს ღარიგებას შესახებ იმისა,ვის როგორ უნდა მოეპყრან და რა ასწავლონ ეპისკოპოზებმა და მღვდ-

1) 2 კორ. 2,13; 7,13—15; 8,23; გალ. 2,2—3; 2 კორ. 8,6,16; 2 ტიმ. 4,10; 2) ტიტ. 1,5.



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 დეკემბერი 1908 წ.

სჯამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.